ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8012154

ნომერი: AR11151811

თარიღი : 13.07.2026

გაცემის თარიღი : 20.07.2026

გაცნობის თარიღი : 21.07.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილზე, კოსმონავტის ძეგლთან აეროპორტის მიმართულებით არსებულ სატრანსფორმატორო კვანძში.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით როზაქიძე პ/ნ 01024034289
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N 25ა, ბინა 17

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1. შპს ჯორჯიან ენერჯი სოლუშენზის თანხმობა შესრულებულია შპს სან პეტროლიუმ ჯორჯიას ბლანკზე , ამასთან მასზე ხელმომწერ პირად დაფიქსირებულია გენერალური დირექტორი მოვალეობის შემსრულებელი მიხეილ - ესიაშვილი. შესაბამისად წარმოდადგენია შპს ჯორჯიან ენერჯი სოლუშენზის სათანადო წესით ხელმოწერილი თანხმობა (შპს ჯორჯიან ენერჯი სოლუშენზის ბლანკზე შესრულებული/ორგანიზაციის ბეჭდით დამოწმებული/ნოტარიულად დამოწმებული) და მიხეილ ესიაშვილის მიერ ზემოაღნიშნული თანხმობის გამოთქმის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე წარმოსადგენია სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა.
2.ამონაწერის თანახმად 3005 კვ.მ.-ზე ფიქსირდება სერვიტუტი. განთავსება წარმოადგინეთ სერვიტუტით თავისუფალ ტერიტორიაზე.
3. წარმოდგენილ იქნეს მეტად შორი ხედებიდან გადაღებული ფოტოსურათები თარიღის ფიქსაციით
4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მინიციპალური ინსპექციის მიერ 2023 წ. 17 იანვარს გაცემულია მითითება №003566, შესაბამისად წარმოსადგენია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მინიციპალური ინსპექციის დადგენილება და ჯარიმის გადახდის ქვითარი ან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მინიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული დადგენილება საქმის წარმოების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.